ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 27 (1465) 5 - 8 ივლისი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა




## არც ერთია დიდი დემოკრატი და არც მეორე, ორივე ნეტარხსენებული ილიჩისანები გახლავთ

ვახტანგ გოგუაძე:

### სადაა სამართალი, როცა სიმართლის თქმისა გვეშინია?!

მე-2 გვ.

წერილი ციხის საავადმყოფოდან

ირაკლი სურგულაძე:

ჩვენთან ჯერ კიდევ „ამხანაგოსა“ და „პირველის“ ქვეყანაა

მე-4 გვ.



### თვითმკვლელი პოლიციელები

წლის დასაწყისიდან თოთხმეტმა პოლიციელმა საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე

მე-5 გვ.

ვინ იყო ვინ?

**მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის**

ვინ იყო ვინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზოგი მწარე და ზოგიც ნელ-თბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს**

# ვახტანგ გოგუაძე: სადაა სამართალი, როცა სიმართლის თქმისა გვეშინია?!

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №25,26

**7**

**— 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თქვენ ოფიციალურად სახელმწიფოში მესამე პირი იყავით, პარლამენტში დამტკიცდა ყველა მინისტრი. საიდან აღმოაჩინეთ ყაჩაღობაზე ნასამართლევი ხაჩიშვილი და რა მოტივით ჩააბარეთ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი? ჩვენი ინფორმაციით, მისი კანდიდატურა მოდიოდა არა ჯ.იოსელიანისაგან, არამედ მოსკოვიდან. მართალია თუ არა ეს?**

**8**

**— ვისი რეკომენდაციით, გნებავთ ზეწოლით, დაინიშნა გიორგაძე უშიშროების მინისტრად?**

**9**

**— თვლით თუ არა, რომ საქართველოში სამართალი პოლიტიკას ემსახურება და არა პირიქით?**

7

— ხანდახან, არაოფიციალურად, მეორე პირსაც შეძახდნენ, თუ რაღაც საჩოთირო, ან საპასუხიმგებლო მოვლენას ვუახლოვდებოდით. ერთხელ ტელეფონით ბატონი ედუარდი მეუბნება — კაცო, შენი წასვლა იქ არ შეიძლება (თუ არ ვცდები, მაშინ ჩეჩნეთში ვაპირებდი წასვლას), შენ მეორე პირი ხარ სახელმწიფოში. ვისარგებლე ნახევარწამიანი პაუზით და ვეუბნები:

— ბატონო ედუარდ, თქვენ თუ იცით, გალაკტიონს რომ ჰკითხეს: — თქვენ რომ პირველი ხართ, ვინ იკამათებს, მაგრამ, თქვენის აზრით, მეორე პოეტი ვინაა, ხომ ვერ გვეტყვით? — ძამიკო, არ შეიძლება მეშვიდედან დავიწყოთო?.. გულიანად ვიცინეთ. მაგრამ ამას სხვა ქვეტექსტიც ჰქონდა. ისეთ ბუნებით ერთმმართველთან, როგორიც ბატონი ედუარდია, მეორე, მესამე თუ მეშვიდე, დიდად არ განსხვავდება. მე მასთან ვიყავი იმ ფსიქოლოგიით, კაცს რომ დასაკარგი არაფერი აქვს, ყოველ წუთს სახლში წასასვლელადაა გამზადებული. ვიმეორებ, მიუხედავად თანამშრომლებისადმი მისი უაღრესად კორექტული და კულტურული დამოკიდებულებისა.

რაც შეეხება ხაჩიშვილის დანიშვნას, დღეის გადასახედიდან გუშინდელი მოვლენა, ცხადია, შეიძლება ხშირად გაგიკვირდეს. ხაჩიშვილის კანდიდატურა მოდიოდა ჯაბასაგან, წამოაყენა მისი კანდიდატურა ბატონმა ედუარდმა (არა მგონია უგულოდ), აქტიურად დავუჭირე მხარი მეც. მე მას ვიცნობდი ეროვნული მოძრაობიდან უაღრესად თავაზიან თანამოსაუბრეს, სხვათაშორის, ნაკითხსა და განათლებულს, თეატრალური ინსტიტუტი ფრიადზე ჰქონდა დამთავრებული. ერთი უწმაწური სიტყვა არ გამიგონია მისგან. სუფრაზე რამდენიც შევხვედრივარ, წვეთი არ დაულევია, იჯდა წყნარად. როცა დაინიშნა მინისტრად, რაღაცა დავავალე, სრულიად კანონიერი რამ, მაგრამ არაფრად ჩააგდო ჩემი დავალება. მერე ისედაც ცუდ წარმართა მუშაობა და მისი გათავისუფლების აზრსაც დავუჭირე მხარი. რაც შეეხება მოსკოვს, რაღა შუაშია აქ მოსკოვი, არ ვიცი. მოსკოვი ხომ უკვე თბილისში იყო?!

8

— როგორც თვით ბატონმა იგორმა პარლამენტის სხდომაზე თქვა — იგი რეკომენდებული იქნა ამ თანამდებობაზე ჯაბა იოსელიანის მიერ. პარლამენტს დასამტკიცებლად, ცხადია, როგორც ყველა მინისტრი, წარუდგინა ბატონმა ედუარდმა. მეც მხარს ვუჭერდი; ადრიდან არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემი სიმპათია დაიმსახურა, როგორც განათლებულმა, დაკვირვებულმა პროფესიონალმა. მისი კანდიდატურის დამტკიცებას მხარი დაუჭირა 149 დეპუტატმა, ე.ი. მხარი დაუჭირა ოპოზიციის დიდმა ნაწილმაც. როცა სახელმწიფოს მეთაურსა და უშიშროების მინისტრს შორის ურთიერთობა გამწვავდა, პარლამენტის წინაშე მეთაურმა დააყენა მისი გადაყენების საკითხი. მე ხმა მივეცი მის გადაყენებას, გარკვეული სინანულით.

ბატონ ედუარდს ხშირად ვთხოვდი — მიექცია მისთვის ყურადღება, — ნიჭიერი კაცია, პროფესიონალია, ხომ ხედავთ, ერთი რომ გაუცინე, ლამის კედელზე ავიდესო. მაგრამ, ვფიქრობ, ძალად აქცია იგი თავის მტრად. სხვათაშორის, არა ერთი კარგი კაცი მოუძულებია. რაც შეეხება გიორგაძის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს, მეც მქონდა მისადმი პრეტენზიები. მე კი გადავეფარე, მაგრამ პარლამენტს ვერაფერი გამოეპარა, იგრძნეს ცხვირის აწევა და ამიტომაც თითქმის ისევე ერთსულოვნად მისცეს ხმა მის გადაყენებას, როგორც დამტკიცებას.

გასულ წელს გიორგაძემ რუსეთს შეაფარა თავი. გამოდიოდა პრესით, ტელევიზიით. მე ამის შესახებ პეტერბურგში, 19 ოქტომბერს, დავსვი საკითხი მისი საქართველოსათვის გადმოცემის შესახებ.

19 ოქტომბერს მე კარგად ვიცოდი, რომ სპიკერი აღარ ვიქნებოდი და ამიტომ აღვუთქვი საბჭოს, თავის მხრივ მიეცათ ჩემთვის რწმუნება, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქისათვის, ვიქნებოდი გიორგაძის საზოგადოებრივი დამცველი, რათა არ მომხდარიყო ძიების ძალადობის ქვეშ წარმართვა.

საბჭოს სხდომის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე არსებითად ამ საკითხმა მიიპყრო ჟურნალისტების ყურადღება. ბატონ ვლადიმერ შუმეიკოს და მე ყველანი გიორგაძის შესახებ გვეკითხებოდნენ. ერთმა ჟურნალისტმა ასე მომმართა:

— ბატონო სპიკერო, როგორც თქვენ ამბობთ, გიორგაძე არის დამნაშავე...

— არა, მე არ მითქვამს, რომ დამნაშავეა. მე ვთქვი, ის არის ეჭვმიტანილი. ან უნდა გაფანტოს ეჭვი, ან პასუხი აგოს დანაშაულზე.

— მაინც როგორ ფიქრობთ, პირადად თქვენ გწამთ, რომ ამ ტერაქტებში იგი მონაწილეობას იღებდა?

— მე არც ის შემიძლია ვამტკიცო, რომ მონაწილეობდა და არც ის, რომ არ მონაწილეობდა.

გულახდილად რომ გითხრათ, კიდევ კარგი, რომ ეს პასუხისმგებლობა ამცდა. მე სპიკერიც რომ ვყოფილიყავი, მაინც ვერ შევძლებდი მის დაცვას. ახლა მე ყველაფერში მეპარება ეჭვი. მაგრამ თავის დროზე, მევალდებული ვიყავი, ჩემი თანამდებობრივი მდგომარეობისა და პასუხისმგებლობის გამო, რეაგირება მომეხდინა ამ მოვლენაზე. თუ მას მართლა დაუმტკიცდება ის, რა ბრალდებასაც უყენებენ, მან პასუხი უნდა აგოს არა სიმპათია-ანტიპათიების მიხედვით, არამედ კანონის მიხედვით. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი გარემოება, იმ ათასგვარი ჭორისა და მითქმა-მოთქმის დროს, მე ვალდებული ვიყავი, გამეგო სიმართლე ყველასა და ყველაფრის მიმართ. ამის შესახებ სხვა დროს.

9

— ვაგლახ, რომ ეგრეა. საქართველოში დღეს ხელფასს იღებს მოსახლეობის ერთი პროცენტი. მე ვგულისხმობ ხელფასს, რომელსაც ადამიანის რჩენა შეუძლია და არა სიმბოლურ ხელფასს. 14

გაგრძელება მე-8 გვ.



ვ. გოგუაძე ქალიშვილთან ერთად



ვ. გოგუაძე მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე გვერდიდან

ლარს რომ ხელფასს ვეძახით, ან დიდი იუმორის აზრით, ე.ი. ჩვენი ცნობიერება წესრიგში ვერ არის. აი, იმ ერთ პროცენტს შეუძლია, ვთქვათ, თუ სხვა უფრო მასშტაბურ ცოდვებს არ მივიღებთ მხედველობაში, თავი გაიტანოს, არ მოიპაროს. დანარჩენი, უდიდესი ნაწილი მოსახლეობისა, ნებისმიერი შეიძლება ჩასვა ციხეში. ბიზნესმენს თუ ხელისუფლების ამალაში არ არის, ნებისმიერ დროს ალუძრავ საქმეს ისე, რომ გამომძიებელს არ დასჭირდება ტვინის ჭყლეტა, ხელოვნური ბრალდებების შეთხზვა. ბიზნესის დამკვიდრება-დაკანონებას მთელი საკანონმდებლო სისტემა სჭირდება, ერთი და ორი კანონი არაა საკმარისი. მთელი სოციალური ცხოვრება კანონის სისტემით უნდა წარიმართოს. ამიტომ ჩვენს ახლანდელ სინამდვილეში თითქმის ნებისმიერი მოქალაქე კანონგარეშე ვართ. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას დიდი პირობითობების, რეალობების გათვალისწინება ჰმართებს, თუ არა განგვიკითხავენ ისე, როგორც განვიკითხეთ. სადაა სამართალი, როცა სიმართლის თქმისა გვეშინია. მაგალითები რამდენიც გნებავთ. ერთს გავიხსენებ მხოლოდ. ერთადერთი გულის მოოხების ტრიბუნა ბჟუტავდა ტელევიზიაში — „პირისპირ“. ვალერი კვარაცხელია იმ გადაცემების დროს ბევრს მიაჩნდა ხელისუფლების აპოლოგეტად თუ არა, დამცველად მაინც. ამდაგვარ საყვედურებსაც ისმენდა იგი. როცა ხელისუფლება და სინამდვილე პირისპირ შეურიგებელნი არიან, დროებით მოიგებს წუთისოფელი, მაგრამ ბოლო სიტყვას მაინც ტანჯული სიმართლე ამბობს. ვინც პოლიტიკურად იჯდა ვალერი კვარაცხელიას პირისპირ, ახლა გვერდით უდგანან და ალბათ, შეუცვლის სათაურს თავის რუბრიკას — „მხარი მხარს!“ ვაჟა ფშაველა ამბობდა — სიბრძნე ისაა, მტერი მოკეთედ აქციო. მოკეთის მტრად ქცევას კი რა ბედოვლათობა სჭირდება.

მარტივი სოციოლოგია ასეთია: ხელისუფლება მოსწონს მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც გაიუმჯობესა ცხოვრება ან იგივე დონე შეინარჩუნა, რაც ჰქონდა. მკითხველო, პატიოსნად დავიდოთ გულზე ხელი, რამდენი პროცენტია ასეთი? ვისი ცხოვრებაც დაბლა წავიდა, მას რატომ უნდა უყვარდეს ხელისუფლება. რამდენი ცნობილი პროფესორი და ხელოვანი გახდა შიმშილით რეპრესიების მსხვერპლი? ვინმეს ახსოვს საქართველოში, თბილისში, თვითმკვლელობის ასეთი სიხშირე? ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ შევეჩვიეთ ამ უბედურებას, გვგონია ეს მრისხანე რიგი ჩვენთან არ მოვა, „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“. ვუყურებთ ასე გულქვაობით. დავკარგეთ თანაგრძნობის უნარი. რა თქმა უნდა, ვიცი, გამიგონია თითო-ოროლა შეძლებულთა დახმარება ქვრივ-ობოლთათვის, დავრდომილთათვის. ღმერთი სიკეთით უზღავს, მაგრამ რა ვქნათ ხვალ? ცოტაც გავიჭირვოთ, ვამშვიდებთ ერთმანეთს. მერე, ცოტას რომ გავიჭირვებთ? მერე მარადიულ სასუფეველში მოვიპოვებთ სიმშვიდეს. არა პანიკისათვის, არამედ განსჯისა და მოქმედებისათვის. თუ დროზე არ დავფიქრდით, არ გვეყოფა მხოლოდ კრიმინოგენური სტაბილიზაცია. კარგია სიცოცხლის და არა სიკვდილიანობის სტაბილიზაცია, კარგია სამართლიანობის და არა უსამართლობის სტაბილიზაცია. „ცარიელი მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის“ — ლელთ ღუნიას ეს სიტყვები ყურებში მიწივის.

ტელევიზია სიმართლის მიმართ ყრუ-მუნჯია, ისე რომ, ვერ დავემდურები ტელევიზიის მუშაკებს (მათი ბრალი არ არის). სამართალი არ არის და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს რას ვერჩი, ე.ი. რაღაც მაღალ დონეზე, პოლიტიკური კურსის დონეზე უნდა ვიფიქროთ. რუსეთში რეფორმების თეორეტიკოსმა დრაგუნსკიმ სამი წლის წინ განაცხადა: რეფორმების შედეგად რუსეთში იცხოვრებს (კარგად, ნორმალურად) მოსახლეობის ერთი მეათედი. არმიის ამოცანა იქნება დაიცვას ეს ერთი მეათედი ნაწილი „от обездомного населения“. ასეთი ანტიხალხური კურსი იშვიათად მსმენია. არჩევნების წინ ბატონ ელცინს გაახსენდა 90 % მოსახლეობისა და დაიწყო სოციალური ზრუნვა. ალბათ, მისი ჩანაფიქრით, ეს დროებითი საარჩევნო მანევრია, შემდეგ ისევ გააგრძელებს ძველს?

უბაზრო საბაზრო ეკონომიკა თუ მართლა საბაზრო ეკონომიკა გვგონია, სხვა მხრივაც ვერ არის ჩვენი საქმე კარგად. ერთი სიტყვით, ვიდრე მთლად ამოვწყდებით, ვიჩქაროთ, ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ. თუ ვერ ვხედავთ, უფულო საქართველოს როგორ ისაკუთრებს ფულიანი გადამთიელი, მაშინ მართლა გასაწყვეტიც ვყოფილვართ. მაგრამ იმედი მაქვს, ისევ ჩვენი წინაპრების სულები შევევედრებიან ღმერთს ჩვენი ცოდვების მიტევებას. ჩვენისთანა ცოდვილი თაობა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ან არ ჰყოლია, ან ძალიან იშვიათად. მოვინანიოთ, თორემ ისე გვანანებენ, ღმერთსაც რომ არ უნახავს.

გაგრძელება იქნება

# ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, ანუ

## როგორ «ზრუნავენ» საქართველო-აზერბაიჯანის ხელისუფალნი საინგილოზე

**საქართველოში** ვიზიტის დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა (ტექსტი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში) შემდეგი განაცხადა: „აზერბაიჯანელები საქართველოში თავის სამშობლოში, თავის მიწა-წყალზე ცხოვრობენ... მე მიმაჩნია, რომ აზერბაიჯანულ სკოლაში სწავლება აზერბაიჯანულად უნდა მიმდინარეობდეს. აზერბაიჯანში ქართველები ცხოვრობენ, რომელთაც ქართულად უნდა ისწავლონ, ჩვენ ამაზე ვზრუნავთ და ვიზრუნებთ კიდეც...“

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ბატონებო... სწორედ ამ „ბოლოზე“ გვინდა ყურადღების შეჩერება.

ალიევის სიტყვის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში მოვიდა ბ-ნი რობინზონ ოთარაშვილი. იგი დღესდღეობით საქართველოში, კერძოდ, რუსთავში ცხოვრობს, დაბადებული და გაზრდილია საინგილოში. პრობლემები, რომლებზეც იგი გვესაუბრა, არ ახალია. უჭირთ თანამოძმეთ იქ, საინგილოში, და თუ არა ქართველმა, ვინ უნდა უგდოს ყური ამ ყველასაგან მივიწყებული კუთხის მაჯისცემას, თორემ ისიც მიწყდება და „რა კაცები ვიქნებით“ მაშინ?

მოგეხსენებათ, დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც დასახლებული იყოს მხოლოდ ერთი რომელიმე ეთნოსით. არც აზერბაიჯანია ამ მხრივ გამონაკლისი. ბედის უკუღმართობის გამო საქართველოს ერთი კუთხე, საინგილო, მთლიანად ამ ქვეყნის იურისდიქციაში აღმოჩნდა. „სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო“, — უთქვამთ ქართველებს. ინგილოთა ნაწილმა (მართალია, წასვლა არსად მოუხდათ, რადგან მიწიანად სხვა სახელმწიფოში მოხვდნენ), „დაიხურა იქაური ქუდი“, გახდა მუსულმანი, თავსაც უკეთ გრძნობს, მაგრამ იმ ნაწილს კი ძალზე უჭირს, რომელმაც მართლმადიდებლობა შეინარჩუნა. სწორედ რელიგიური საკითხი გახლავთ იმ დისკრიმინაციის საფუძველთა საფუძველი, რომელსაც აქვს ადგილი ქართველი წევამლელების მიმართ.

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს ახალგაზრდები აზერბაიჯანის მოქალაქენი არიან და ვერ შეძლებენ ქართულ ჯარში სამსახურს, მაგრამ ხომ შეიძლება, ერთი სამხედრო ნაწილი ჩამოყალიბდეს, ისე, როგორც ჩვენთან, ჯანდარაზე, არსებობს, აზერბაიჯანელებით დაკომპლექტებული შენაერთი. და არავინ არ აყენებდეს შეურაცხყოფას იმის გამო, რომ მათ წინდაცვეთა არა აქვთ, რომ ისინი ქართველები არიან, ქრისტიანები არიან და ე.ი. მეორეხარისხოვანნი.

ითხოვენ ინგილოები დახმარებას „დიდი საქართველოდან“... „ბოლოს, არჩევნების წინ იყვნენ იქ მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები, ალბათ, პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად, მას შემდეგ არავის გახსენებია საინგილო და ინგილოებიო“, — აღნიშნა ბ-ნმა რობინზონმა და დასძინა, ჩასვლაც ძალზე გაჭირდაო მშობლიურ კუთხეში. ეს გასაჭირი კი შემდეგში მდგომარეობს:

საზღვარზე ვერავინ გადავა პასპორტის წარუდგენლად. მოწმობა, მოქალაქის ვინაობის დამადასტურებელი, საზღვარგარეთ არ გამოდგება, საჭიროა ან ქართული პასპორტი, ან ყოფილი სსრკ-ს პასპორტი. ერთის აღებაც და მეორის შენარჩუნებაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ამის გამო საქართველოში მცხოვრები ინგილოები უკვე ერთ წელზე მეტია, ვერ ნახულობენ ახლობლებს და ნათესავებს საინგილოში. ნუთუ არ შეიძლება, იუსტიციის სამინისტრომ მოაგვაროს ეს პრობლემა და იმ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს, რომელნიც საინგილოდან არიან წარმოშობით, უფასოდ ან შეღავათიან ფასებში მაინც მისცეს საქართველოს პასპორტი, თორემ ამბის ჩამომტანი მაინც ხომ გვინდა, ამბის ჩატანაზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს პრობლემა ხომ პრობლემად რჩება, საქართველოს პრესა იქ ვერ აღწევს, ტელერადიო გადაცემების მიღება შეუძლებელია და ბედის ანაბარად მიტოვებულთ ყველა უბედურებასთან ერთად პურის საარსებო მინიმუმიც არ გააჩნიათ. „ნუ გვაჩუქებთ, ბატონო, გასაყიდად მაინც იქნებ შემოიტანოთ ხორბალი ან პურის ფქვილი“, — ითხოვენ საინგილოდან.

ვუცქერდი ამ ადამიანს, თვალზე ცრემლმომდგარი რომ გვემუდარებოდა, „მიაწვდინეთ ხმა ძლიერთა ამა ქვეყნისათაო“, — იმედს ვაძლევდი თავად უიმედო, რადგან ვიცი, ეს წერილიც დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. ძალიან არ მინდა, რომ ასე იყოს...

ძლიერნო ამა ქვეყნისანო, გაიხსენეთ, ვისი „გორისა“ და ჯილაგისა ხართ, გაიხსენეთ, რომ სადღაც იქ, აზერბაიჯანში, არსებობს „პატარა საქართველო“, რომელსაც საინგილო ჰქვია და რომელიც შველას ითხოვს.

ანა ჯულელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი სურგულაძე: ჩვენთან ჯერ კიდევ «ამხანაგების» და «პირველების» ქვეყანაა...

საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ დღემდე პატიმრობაში იმყოფება თ.კიტოვანის თანამებრძოლი, პროფესორი ირაკლი სურგულაძე. რედაქცია ვერ გააკეთებს კომენტარს მისი პასუხისგებაში მიცემის სამართლიანობა-უსამართლობის შესახებ. თუმც თავს მორალურად ვალდებულად ვთვლით განვაცხადოთ, რომ ი.სურგულაძე არ არის ის პიროვნება, რომელიც საზოგადოებისათვის საშიში იყოს და სასამართლო პროცესზე პირდაპირ ციხიდან, ბადრაგის თანხლებით ცხადდებოდეს...

თუ კანონმდებელს თავდებში გამოშვება რაიმე შემთხვევისათვის გაუთვალისწინებია, ვფიქრობთ, ახლახანს ინფარქტგადატანილი პროფესორის ბედზე დაფიქრებაც მართებთ იქ, სადაც ჯერ არს.

ჟურნალისტმა გუგა მეგრელიძემ რამდენიმე კითხვა გაუგზავნა ბატონ ი.სურგულაძეს. გთავაზობთ ამ კითხვებზე აგებულ მის მონოლოგს.



* * *

**როგორ აღმოჩნდი ამ ორომტრიალში?**

ეს კითხვა მე ხშირად დამისვამს საკუთარი თავისათვის და ვერასოდეს დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გავეცი. საქმე იმაში გახლავთ, რომ 1991 წლამდე არასოდეს არ ჩავრეულვარ პოლიტიკაში, თუმცა, სავსებით განსაზღვრული პოზიცია ყოველთვის მქონდა. მე ვეკუთვნოდი იმ დროს მიღებული წესით კომკავშირში ყოველგვარი ინტერესისა და აქტივობის გარეშე „შერეკილ“ თაობას. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1958 წ.) მექანიკურად გავირიცხე (ალბათ, რადგან არასოდეს არ მომიკითხავს). არასოდეს ვყოფილვარ პარტიაში, თუმცა რამდენიმეჯერ მივიღე წინადადება. ამას მოგახსენებთ ყოველგვარი უპირატესობის გრძნობის გარეშე, რადგან ჩემი მეგობრები, კომპარტიის წევრები, არაფრით განსხვავდებოდნენ ჩემგან. უბრალოდ, მათ საქმიანობას ჭირდებოდა „პასიური“ გაწევრიანება, თორემ ისინიც ჩემნაირი „კომუნისტები“ იყვნენ.

მე ვეკუთვნოდი 60-იანი წლების ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელსაც აბსოლუტური უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა არსებულ წყობილებასთან. ამას მე არც ვმალავდი და თუ მაშინ არ დამიჭირეს, უბრალოდ იმიტომ, რომ ჩემი აზრები არასოდეს გამომიხატავს მოქმედებით, ე.ი. აშკარა დისიდენტური ბრძოლით. იმ ხანებში არალოიალურად განწყობილთა დაჭერა აღარ იყო მოდაში. ისე კი ვცდილობდით გვემუშავა ისე, რომ ქართული კულტურისა და მეცნიერების საქმე გვეკეთებინა, ე.ი. არ ვყოფილიყავით „საბჭოელები“. ამ მხრივ ჩვენ გამოვირჩეოდით ჩვენი იმ თანატოლებისა და ცოტა უფროსებისაგან, რომლებიც აქტიური პარტიული ხერხებით იბრძოდნენ კარიერისათვის. მოგვიანებით, 70-იანი წლების მეორე ნახევარში, მთელს რუსეთსა და ჩვენშიაც გააქტიურდა დისიდენტური მოძრაობა. ზოგი ციხეშიც მოხვდა, მაგრამ ამ საქმეში მონაწილეობა არც მაშინ მიმიღია. შედარებით ახალგაზრდა სპეციალისტები (მე მხედველობაში მაქვს ჩემი გარემოცვა) სწავლობდნენ ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს და სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწიეს. ძირითადად იმ წლებში შეიქმნა ის პლასტი ქართულ კულტურაში, რომელიც ასე განასხვავებდა მას ყველაფერი საბჭოურისაგან და საკმაოდ გახმაურდა მთელს მსოფლიოში. ახლა ძველი პარტმუშაკები თავს იდებენ, ჩვენ შევუწყვეთ ხელი დაწერას, დახატვას, გადაღებას და ა.შ. მაგრამ ეგ ყურში არ შეუშვათ. საქმეს აკეთებდა ხალხი, ძირგამომპალი სსრკ და მისი ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი მესვეურები იძულებულები იყვნენ ბევრ რამეზე თვალი დაეხუჭათ და ახლა, ამ „დახუჭული თვალისათვის“ დაფნის გვირგვინებს ითხოვენ. გონება კი იმიტომ მოუცია ღმერთს, ეშმაკი და ჭკვიანი ერთმანეთისაგან განვასხვაოთ.

ასე მოვიდა (დეტალურ აღწერას რომ თავი დავანებოთ) 90-იანი წლები. იყო 9 აპრილი, ადუღდა მთელი საქართველო და მეც სხვასთან ერთად. მე ზ.გამსახურდიას და მის ოჯახს საკმაოდ ახლოს ვიცნობდი. ვიდრე ეს ყველაფერი დაიწყებოდა, რამდენჯერმე შევხვდი ზვიადს შემთხვევით და მომისმენია მისი მოსაზრებები. უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი რამ მაშინვე ჩემთვის მიუღებელი იყო, რაც შემდეგ ცხოვრებაშიც აჩვენა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის წინ რამდენჯერმე ვცადე გავრკვეულიყავი სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაში, მაგრამ ყველგან ისეთი ორომტრიალი იდგა, რომ გაცლა ვამჯობინე და ძირითადად პირადი საქმეებით შემოვიფარგლე, ვმუშაობდი ოჯახში, გამოვაქვეყნე რამდენიმე წერილი სპეციალურ საკითხებზე, გამოვუშვი ერთი პატარა წიგნი, ვთარგმნიდი... ასე გაგრძელდა 1991 წლის ივლის-აგვისტომდე, ვიდრე გამსახურდიას შეცდომები ტრაგიკული არ გახდა, ხოლო მქადაგებლებმა შექმნეს სრულიად სპეციფიკური, აუტანელი გარემო, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდებოდა ყველაფრისაგან, რაც კი მე მწამდა, ან რაც მინდოდა საქართველოს მომავლისათვის. აქ იყო ჩემთვის მიუღებელი მთელი გროვა საკითხებისა, პრაქტიკული ქმედებებისა თუ თეორიული, სტრატეგიული და ტაქტიკური უმართებულობებისა, რამაც მაიძულა ქუჩაში გამოვსულიყავი. ზ.გამსახურდიას კრიტიკას ახლა ჩემთვის აზრი არა აქვს. ძირითადად იგი ეროვნული იყო და მისი შეცდომებიც ამ განწყობამ განაპირობა. მე მგონია, მან სასურველი და შესაძლებელი ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია, ხოლო ზოგმა მისმა მიმდევარმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მე სწორედ ამ პერიოდში ჩავერთე პოლიტიკური საქმიანობაში. თ.სიგუას წინადადებით ჩამოვაყალიბეთ „დდს“ — დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო“. იქ ბევრი ცნობილი მოღვაწე მოვიდა, რომელთა ნაწილი ალბათ ახლა კიდეც იუკადრისებს, როგორც თუ სიგუამათ. არ ვიცი, მათ სხვა რა წყაროები გააჩნიათ, მაგრამ იმ ხანად, როცა თბილისის ზღვაზე სიგუასთან და კიტოვანთან დავდიოდით, როგორც მახსოვს, „დდს“-ის ჩამოყალიბების იდეა იქედან წამოვიღეთ. იქ ძირითადად თენგიზ სიგუასთან ვმუშაობდით, კიტოვანს თავისი სფერო ჰქონდა და ჩვენთვის ნაკლებ ეცალა. ამირჩიეს „დდს“-ის ხელმძღვანელ ჯგუფში ნ.ნათაძის წინადადებით და დავიწყეთ აქტიური მუშაობა, პროპაგანდა, გამოსვლები, მოკლედ, ყველაფერი, რაც ხდებოდა 1991 წ. შემოდგომაზე. დასრულდა გამსახურდიას ეპოპეა, ხელისუფლება შეიცვალა, 1992 წ. შემოდგომაზე არჩეულ იქნა პარლამენტი, შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელშიაც მე წარდგენილი აღარ ვიყავი. ამის შემდეგ ორი წელი ვიმუშავე საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ, საიდანაც 1994 წლის შემოდგომაზე საკუთარი თხოვნით წამოვედი. უკვე დაწყებული გვქონდა მუშაობა „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ შესაქმნელად. ეს უკვე ცნობილი ფაქტებია. „ფრონტმა“ იარსება ორი თვე და ამის შემდეგ იგი დაპატიმრებულ იქნა. ასეთია მოკლედ ის გზა, რომელიც 1995 წ. 13 იანვრამდე გავიარე.

თ.კიტოვანი მე გავიცანი ამ 40 წლის წინ ჩემი სიყრმის მეგობრის, განსვენებული მსახიობის, გოჩა აბაშიძის და მისი ძმის, გელას გარემოცვაში. მას შემდეგ მე და თენგიზს ყოველთვის თბილი, მაგრამ არა განსაკუთრებით ახლობლური ურთიერთობა გვქონდა. „ხანგრძლივად“ არ იყო ხოლმე თბილისში, მაგრამ ყოველი შეხვედრისას ახლდებოდა ჩვენი ყმაწვილური, გულწრფელი დამოკიდებულებები, რასაც ძალიან უწყობდა ხელს იმ კაცის ხსოვნა, რომელიც ორივეს გვიყვარდა.

ნება მომეცით 3 და 5 შეკითხვა გავაერთიანო, რადგან ყველა მოვლენა ამ პერიოდში ე.შევარდნაძის სახელთან არის დაკავშირებული. ეს ძნელი კითხვაა და ბევრს აინტერესებს. გაზეთ „შანსში“ იბეჭდება მთელი სერია საკრამენტული სათაურით ე.შევარდნაძის შესახებ (ყველა არ წამიკითხავს), სადაც იმდენი ცოდვაა დანომვრით ჩამოთვლილი, რომ ერთ ჯოჯოხეთს ეყოფოდა. ვინ იცის, მართალია ეს ყველაფერი, ან შეიძლება ყველაფერი მართალი არ იყოს? იულიუს კეისარი კი ცოლს იმიტომ გაშორდა, რომ ქალზე ეჭვი მიიტანეს. ამის შემდეგ საჩოთირო მომენტებში მთელი მსოფლიო ამბობს: „არ შეიძლება კეისრის ცოლი ეჭვქვეშ იყოს“. ეს მოვლენები ჩვენი დღევანდელობაა, ყველგან კრიზისია დაწყებული, საქართველოს რეალური პოლიტიკური სტატუსიდან, დამთავრებული ტერიტორიული პრობლემით, ეკონომიკით. სახლი ძნელი ასაშენებელია, მით უფრო, თუ საძირკველს სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებ. ამ შემთხვევაში რად არის საძირკველი საკამათოდ ქცეული. ზოგს ეს ენერგეტიკა გონია. მე ვფიქრობ საძირკველი არის საქართველოს მოქალაქე, მისი საკუთრებით, უფლებებით, მოვალეობებით, ენერგეტიკას შექმნის ყველა, ვისაც ქვეყანა აქვს. ქვეყანა და საზოგადოება არის გარემო ინდივიდუალური, შემოქმედებითი თუ ფიზიკური არსებობისათვის. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ბუნებრივ მოთხოვნას სსრკ როგორღაც აკმაყოფილებდა. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რუსებს დღესაც ჩვენებს ეძახის. ის რომ დაინგრა, გაჩნდა სამშობლოს ცნება, როგორც დეკლარაცია, ქაღალდი, სიმბოლო, რომელიც არ აკმაყოფილებდა „ძლიერ ხელს“ და „ჩვენების გამარჯვებას“ მიჩვეულ ხალხს, და ძალიან მალე აიცრუეს გული უკიდურეს პატრიოტიზმზე. დაიწყო ახალი თვითგვემა: ჩვენ არ ვვარგივართ, ცოდვილები ვართ და ა.შ. ეს ტყუილია, ჩვენ არავიზე ნაკლები არ ვართ და არც ვინმეზე, სხვა ერზე მეტი ცოდვა ჩაგვიდენია. დღეს ჩვენ, უბრალოდ, საყრდენი არ გვაქვს, ეზო-სახლი, რომელიც ყველას ციხესიმაგრეა. მე იმ ციხეზე მოგახსენებთ, რომელიც ყველა რეალურად თავისუფალ ერს აქვს თავის თავში და თავისი თავით აშენებული და არა უბრალო ქვითკირს. აი, ამ კრიტიკულ მომენტში, როცა ხალხს ჭირდებოდა ხელის შეწყობა, ე.შევარდნაძემ დაიწყო და დაასრულა მმართველობის სისტემის აგება, რომელიც უწინდებურად არის დაპირისპირებული ხალხთან. გაჩნდა ათასი ბრჭყიალა, თავშესაქცევარ-თავმოსაწონარი, მაშინ როცა კაცის გულს ჭირდებოდა გამაგრება. უნდა ყოფილიყო კურსი აღებული ახალი საქართველოს მოქალაქის ჩამოყალიბებაზე, რომელიც იტყოდა „აი, ჩემი სამშობლო!“. ასე არ მოხდა. შენდა პოლიციური სახელმწიფო, სადაც დანაშაულისა და უწესრიგობის მიზეზებს მავანთა და მავანთა „ცუდ“ საქციელში ეძებენ, ხოლო იარა პირღია წყლულია, მკურნალის ხელის გარეშეა მიტოვებული. კორუმპირებულთა შეპყრობა არ არის მთავარი, საჭიროა კორუფციისათვის ხელსაყრელი არის შემცირება. თუ ნიადაგი არ იქნება, მაშინ კორუფცია ვერ, ან ნაკლებ გაიხარებს. მაგრამ თუ ბიუროკრატიულ-იერარქიული სისტემა აყვავდა, მაშინ უნდა ვთვალოთ კორუმპირებულთა თაობები: „ერთი წავა და სხვა მოვა...“ ამიტომ მთავრობისა და პრეზიდენტის უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა იყოს არა სახელშეცვლილი ნახევრადსაბჭოთა წყობა, არამედ ახალი, თავისუფალი ადამიანის შექმნისათვის ღვაწლი. კაცმა, რიგითმა მშრომელმა უნდა გაიგოს, რომ დრო შეიცვალა, რომ მისი დღევანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობა სხვანაირია, ვიდრე გუშინ იყო. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ პოლიტიკურ ნაბიჯებსა და გეგმებს, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად იქნებოდა მიმართული. თუ ეს ასე დარჩა, ყველაფერი, რაც საგარეო პოლიტიკაში ხდება, ისიც, რაც დღეს ახლებული საბჭოთა ბიუროკრატიის წყალობით გვეხვევა თავს, თავიდან გასასწორებელი გაუხდება მომავალ თაობებს. არც ესაა დიდი უბედურება, თუ ვთვლით, ჩემს შემდეგ წინ წყალი, უკან მეწყერიო...

ამიტომ მოგახსენებთ, ძირითადი პრობლემა არის ის კაცი, ვინც უნდა შექმნას საფუძველი ხვალინდელი საქართველოსათვის.

ამაში ვხედავ მე მთავრობისა და მისი ხელმძღვანელის მოვალეობას. იქნებ პრეზიდენტ შევარდნაძეს აქვს მარაგში კიდეც რაღაც მნიშვნელოვანი, რომელიც ვითარებას კარდინალურად შეცვლის? რა ვიცი, ხალხნი ვართ, თანაც იმედების მოყვარულნი. აქვე მინდა პრეზიდენტ ჯონ კენედის სიტყვები გავიხსენო, რომელიც მან პრეზიდენტ ლინკოლნზე თქვა: „რა იქნებოდა იგი (ან, რა სახელს დატოვებდა), სამი წლით ადრე რომ მოეკლათო?“ აქ პრეზიდენტ კენედის პოზი-

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგული პრესიდან

# თვითმკვლელი პოლიციელები

## წლის დასაწყისიდან თოთხმეტმა პოლიციელმა საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე

**პოლიციელი** ბერნარ ფებვე საწოლზე წამოწვა, რევოლვერი საფეთქელთან მიიტანა და ტყვია ჩაიჭედა შუბლში. პირველ მარტს ქალაქ მონბელიარის საპოლიციო უბანმა თანამშრომლის პირველი თვითმკვლელობა აღნუსხა. 10 დღის შემდეგ ჟან ლუი კორნეტმა, რომელიც კოლეგის სიკვდილის შემდეგ ავადმყოფობის გამო სამსახურში არ გამოცხადებულა, საკუთარ საწოლ ოთახში თავი ჩამოიხრჩო. ორივე თვითმკვლელი ერთსა და იმავე ქვედანაყოფში მსახურობდა. ორი გვამი მიემატა თვითმკვლელ პოლიციელთა თოთხმეტკაციან სიას.

პატარა ქალაქში დატრიალებული ტრაგედიის ახსნას მრავალი მიზეზი მოუძებნეს: პიროვნულიც და სამსახურეობრივიც. შინაგან საქმეთა მინისტრმა სპეციალური განკარგულება გამოსცა, რომელიც პოლიციელთა „ფსიქოლოგიურ დაცვას“ ითხოვს. ორივე პოლიციელის ბედი სიმთვრალის დროს ჩადენილმა საქციელმა არია. 27 თებერვალს, ღამით — ბერნარ ფებვე, რომელსაც იმ დღეს დასვენება ეკუთვნოდა, მანქანით სახლში ბრუნდებოდა. უცებ მის• ცხვირწინ სატვირთო მანქანამ დაამუხრუჭა. ფებვემ მანქანის გაჩერება ვერ შესძლო და სატვირთო მანქანას შეეჯახა. დიდი არაფერი მომხდარა, ფებვეს მანქანა ცოტათი შეიჭყლიტა, არც არავინ დაშავებულა. ჟანდარმები სწრაფად მოვიდნენ შემთხვევის ადგილას და მოსთხოვეს ფებვეს ჩაესუნთქა სპეციალურ ბუშტში სიფხიზლის დასადასტურებლად. პოლიციელის სისხლში 2 გრამი ალკოჰოლი აღმოჩნდა. ჟანდარმერიიდან პროკურორის თანაშემწეს დაუკავშირდნენ, რომელმაც ნება დართო ფებვეს სახლში წასულიყო.

მანქანაში პოლიციელს შავი ფიქრები მოეძალა. მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვა სახუმარო საქმე არ არის და შედეგებიც სავალალო იქნება. ვინ იცის, შეიძლება, ტრიბუნალის წინაშეც კი წარდგეს. პოლიციის დისციპლინარულ კომპანიას კი სამსახურიდან დათხოვნა მოყვება. და ეს ათი წლის მძიმე, მომქანცველი სამსახურის შემდეგ. ფებვემ კომისარიატში შეიარა და ტაბელური იარაღი აიღო. რევოლვერს 11 ტყვიაც გამოაყოლა. კარებში კოლეგას შეეჯახა, რაღაც გაურკვეველი წაიბურტყუნა და მანქანაში ჩაჯდა. მეორე დღეს, დილის სიის ამოკითხვისას, ფებვე პოლიციის უბანში არ გამოცხადდა. ვილაცეებმა ნახეს როგორ გადადიოდა ბარიდან ბარში და სვამდა. „მან მე მითხრა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და სამსახურში დაბრუნებამდე უბრალოდ დროს კლავდა“ — იხსენებს ერთი მისი მეგობარი. ჰაერზე ნათქვამი სიტყვები იყო, პოლიციელ ფებვეს ფეხი აღარ შეუდგამს კომისარიატში. შეიძლება, კოლეგების მზერას ერიდებოდა? შეიძლება, რცხვენოდა? სწორედ ამას წერს იგი თავის უკანასკნელ ბარათში, რომელიც სასტუმროს ოთახში, მისი საწოლის გვერდით იპოვეს. წერილი ზუსტად სიკვდილის წინ დაწერა, დილის საუზმის შემდეგ.

კომისარიატში ფებვე ძალიან უყვარდათ. „ბენი“, როგორც მას კოლეგები უწოდებდნენ, პირდაპირი კაცი იყო, უფროსებს არ ელაქუცებოდა და კარგ პოლიციელად ითვლებოდა.

ჟან-ლუი კორნეტზე კი ამას ვერ იტყვი. იგი დიდი ხნის შინაგანად გატყდა — ცოლთან უთანხმოებამ და გაყრამ ყველაფერზე გული აუცრუა. ერთი სიტყვით, პოლიციელს უიმედობამ დარია ხელი. ფებვეს დაკრძალვაზე თავს იკავებდა და არაფერს იმჩნევდა. მაგრამ იმავე ღამით თავის მეგობრებს დაურეკა და რაღაც არეულად ელაპარაკა. ჩანდა, რომ კაცი უფსკრულის პირას იდგა. როგორც პროკურორი ამტკიცებს, ფებვეს თვითმკვლელობა ბოლო წვეთი იყო, ასეთ დარტყმას კორნეტმა ვეღარ გაუძლო.

პოლიციელები ყველაფერში საპოლიციო უბანში გამეფებულ ატმოსფეროს ადანაშაულებენ. „არავინ არავისზე არ ფიქრობს, არც მეგობრობასა აქვს ფასი, არც თანადგომას. მთავარია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, უფროსებს მხოლოდ შედეგი აინტერესებთ. ადრე, ერთ მუშტად ვიყავით შეკრული, ახლა ყოველი ჩვენთაგანი საკუთარ თავზე ფიქრობს. ოთახი, სადაც ერთად ვიკრიბებოდით და მეგობრულად ვსაუბრობდით, დიდი ხნის წინ გამოკეტეს“ — გვიხსნის ერთი პოლიციელი. და, მართლაც, პოლიციელების ბედი არავის შეშურდება. „ამ არეულ-დარეულ საზოგადოებაში პოლიციელის ხატიც დაკნინდა. ყველა უბედურებაში მათ ადანაშაულებენ. თვით წესრიგის დამცველებსაც ეჭვი ეპარებათ საკუთარი სამსახურის აუცილებლობაში და ეფექტურობაში. რაღაც უნდა შეიცვალოს“ — ასკვნის პროკურორი.

სასამართლოს მოხელეებსა და პოლიციელებს შორისაც არ სუფევს ურთიერთგაგება. პოლიციელები პრეტენზიებს უყენებენ სასამართლოს. ამ რამდენიმე ხნის წინ მონბელიარის სასამართლომ 9 თვის პატიმრობა და 5000 ფრანკის ჯარიმა მიუსაჯა პოლიციელს, რომელმაც ერთ-ერთი ქუჩური შეტაკებისას ხელი გაარტყა ახალგაზრდა კაცს. პოლიციელი თავის ამხანაგს იცავდა, რომელსაც ნაძირალები დაესხნენ თავს. ჟანდარმებმა პოლიციელის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. სასამართლო დარბაზში დამსწრე პოლიციელებმა თავი და ბოლო ვერ გაუგეს ამ პროცესს და განაჩენსაც მტრულად შეხვდნენ. დასკვნა კი ყველამ ერთი გამოიტანა — პოლიციას არ ენდობიან და ყველა უბედურებაში განტევების ვაცის როლს აკისრებენ. ფებვესა და კორნეტისთვის პოლიციისადმი ასეთი დამოკიდებულება მომაკვდინებელი აღმოჩნდა.

**ლორან შაბრენი**
(„ექსპრესი“, 1996).

# რუსული არმია გახრწნილია

## მედესანტეთა მწარე ხვედრი

**პარაშუტისტთა** პოლკი მოსკოვის ახლოსაა დაბანაკებული. მედესანტეთა ყაზარმას ვათვალიერებ. კომფორტისა რა მოგეხსენოთ, მაგრამ სისუფთავეს და წესრიგს ვერ დაიწუნებ. ჯარისკაცებს კედელზე პოლკის ემბლემა გამოუსახავთ — შავი მგელი ორი ყვითელი პარაშუტით. „ჩეჩნების მგელი არ გეგონოთ“ — ღიმილით გვაფრთხილებს ერთი ახალწვეული. მსგავსად სხვა სამხედროებისა, პარაშუტისტებსაც გულს ულრღნის ჩეჩნეთის პატარა რესპუბლიკაში განცდილი მარცხი. „მთელი წელი ბრძოლებში გავატარეთ — გვიმტკიცებს პოლკოვნიკი პროკოპენკო, ავღანეთის, ვილნიუსისა და ბაქოს სისხლიანი მოვლენების მონაწილე, — და აი, ერთბაშად, ივლისში, როდესაც, ბოლოს და ბოლოს დუდაევის ბანდები მთებში მოვიმწყვდიეთ, უკან დახევის ბრძანება მივიღეთ. მოლაპარაკებები უნდა დაწყებულიყო. ჩვენ შინაგანმა ჯარებმა შეგვცვალეს... ჰოდა, აი, დღესაც საქმეს თავი ვერ მოება. ეტყობა ისევ მოგვიწევს გამგზავრება, შინაგანი ჯარები არაფრის მაქნისნი აღმოჩნდნენ“. „ვინ იცის, რამდენი ქალი დაქვრივდება და რამდენი ბავშვი დაობლდება“ — სინანულით თავს აქნევს მაიორი გიბალოვი. ორთავე ოფიცრის აზრით, აუცილებელია მოინახოს რაღაც გამოსავალი, მაგრამ ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. „ამის მაგივრად, არმიას ჟანდარმის ფუნქციებს ავალებენ. მერე კი იმაზე წუწუნებენ, რომ დიდი ზარალი ვნახეთ. პოლიციური მეთოდები არც ერთ ოფიცერს არ ეპიტნავება, იმიტომ, რომ პოლიტიკოსების შეცდომათა მთელი სიმძიმე ჩვენზე გადმოდის. ამის შედეგია, რომ უამრავი დახოცილი ჯარისკაცის დამარხვა გვიხდება უცხო მიწაში“.

პროკოპენკო მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცხადებს, რომ სამხედრო ხელმძღვანელობამ სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქე. „ყველა გვიმტკიცებდა, რომ შეიარაღებულ ყაჩაღებთან გვექნებოდა საქმე. სინამდვილეში კი კარგად გაწვრთნილი, უახლესი იარაღით აღჭურვილი მებრძოლების წინაშე აღმოვჩნდით. ჩეჩნებმა ზუსტად იციან რისთვისაც იბრძვიან“.

დეპარალიზებული, ყოველგვარ სამხედრო ორგანიზებას მოკლებული ჯარით ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა არცთუ ისე ადვილი საქმეა. „მედესანტეები დღეს ერთადერთი რეალური საბრძოლო ძალაა, რომელსაც უნარიც შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს, მაგრამ ჩვენ სხვა სამხედრო ქვანაყოფები შემოგვიერთეს. მათ კი საბრძოლო მოქმედებისა არა გაეგებათ რა. ამას დაუმატეთ მომარაგების სიძნელე: საინტენდანტო სამსახური კუდში მოჩანჩალებდა. ამერიკელი პარაშუტისტები, საველე ტუალეტების გარეშე თუ დარჩნენ, თითსაც არ გაანძრევენ, მით უფრო, ისეთი ხელფასი თუ დაუნიშნეს, რომელსაც ჩვენ გვაძლევენ“. მედესანტე პოლკოვნიკი თვეში 700000 რუბლს იღებს. ჩეჩნეთში თუ ამოყო თავი, ორმაგ ხელფასს აძლევენ.

რა გასაკვირია, რომ ოფიცრები გვერდზე ეძებენ სამუშაოს. „ჩვენ იძულებულნი ვართ თვალი დავხუჭოთ ჩვენი ოფიცრების ქმედებებზე, — ამბობს პროკოპენკო, — რას იზამ, როგორმე ხომ უნდა გაიტანონ თავი. ღამით კომერციულ ფირმებს იცავენ და ფულს ამით შოულობენ. დილით, ისევ სამხედრო ფორმას იცვამენ“. სანდო დარაჯების მოსახელთებლად, კომერციული ფირმების წარმომადგენლები დილიდანვე ყაზარმებთან უსაფრდებიან ჩვენს ოფიცრებს. „ჩვენს ბიჭებს კარგი სახელი აქვთ და მოთხოვნაც დიდია. „ტელნიაშკას“ ერთგულება რომ არა, ოფიცრები დიდი ხნის წინ დატოვებდნენ სამსახურს“.

ისევე, როგორც მთელ ჯარს, მედესანტეებსაც არ წყალობს ბიუჯეტი. გიბალოვი არც მალავს, რომ ხშირად უხდება კოლმეურნეობების შემოვლა, რამდენიმე ტონა კარტოფილის სამათხოვროდ. „ეს რომ არა, პოლკი მშიერი დარჩება. აბა, ამის შემდეგ რაღა მეთქმის. სახელმწიფოს დამცველთა ელიტას წარმოვადგენთ და სახელმწიფო თითსაც არ ანძრევს ჩვენთვის“.

საბრძოლო მომზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. წვრთნა შეზღუდულია, მანქანების ავზები ცარიელია. „თხუთმეტი თვეა აქ ვარ და მხოლოდ ერთხელ გადმოვხტი პარაშუტით“. — გვეუბნება ახალგაზრდა ჯარისკაცი.

ყოველივე ამას ემატება ხელისუფლების უნდობლობა. კრემლმა დაშალა და სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში მიმოფანტა „ლურჯბერეტიანები“. ადრე, 47000 მედესანტე ავტონომიურ, ყველასაგან დამოუკიდებელ კორპუსად არსებობდა. გრაჩოვის ბრძანებით, მედესანტეები დღეს ოლქის სარდლობას ემორჩილებიან, აქაოდა, სამხედრო უწყებას თქვენი შესანახი სახსრები არ გააჩნიაო.

პარაშუტისტებს ეს არგუმენტი ბევრს არაფერს უმტკიცებს. სადესანტო ჯარების სარდალმა, ევგენი პოდკოლზინმა, სასტიკად გააკრიტიკა სამინისტროს გადაწყვეტილება. ალექსანდრე ლებედმა, ყოფილმა გენერალმა, რომელმაც პოლიტიკოსის კარიერა ირჩია, ბრალი დასდო მთავრობას იმაში, რომ იგი ხრწნის ერთადერთ რეალურ საბრძოლო ძალას. „ფეხოსნები გამათხოვრებულნი არიან, ახლა მათ მედესანტეები მიუერთეს. მერედა რა გამოვიდა? მებრძოლი პარაშუტისტი სანგრებს თხრის და ბანაკის ღობეს ღებავს“.

„ნეზავისიმაია გაზეტა“ ყოველივე ამას „პოლიტიკური მიზეზით“ ხსნის. სადესანტო შენაერთების დაშლა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთანაა დაკავშირებული. „თუკი ოპოზიცია გაიმარჯვებს, ახლანდელი ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების სამხედრო ძალით აღდგენას ეპარება“. ელცინი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველაზე ძლიერი ნაწილები ამ გადატრიალებას წინ არ აღუდგებიან და არ აყვებიან გენერალ ლებედის მოწოდებას. „დღეს თითოეული პოლიტიკური „ატამანი“ იმის ცდაშია, რომ როგორმე „მოთაფლოს“ მედესანტეები“ — ამბობს სამხედრო დაზვერვის ერთი თანამშრომელი. პოლკოვნიკი პროკოპენკო იმედს არ კარგავს, თუმცა ეჭვებიც აწუხებს. გენერალი ლებედისა კი მტკიცედ სჯერა: „იგი ნამდვილი გენერალია, რუსული ჯარის ტრადიციების გამგრძელებელი და საკუთარი ღირსების გრძნობის ჭარბად მფლობელი“.

**ლორ მანდევილი**
(„მონდი“)
თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა



# ირაკლი სურგულაძე: ჩვენთან ჯერ კიდევ «ამხანაგოსა» და «პირველის» ქვეყანაა

მეოთხე გვერდიდან

ცია აშკარაა: მას „სამი წლით ადრე“ (1862) ლინკოლნი სახარბიელო პიროვნებად არ მიაჩნია. მე ვფიქრობ, უახლოეს სამ წელიწადში პრეზიდენტ ე.შევარდნაძის ფიგურა საბოლოო კონტურებს შეიძენს.

* * *

ე.შევარდნაძეს მისი დაბრუნებისას აეროპორტში არ შევხვედრივარ. საერთოდ არ მიყვარს შეხვედრა-გაცილებები და თუ საამისო საშუალება არსებობს, ვცდილობ, თავიდან ავიცილო. მაშინ აშკარად შევატყვე, რომ უჩემოდ იოლად გავიდოდნენ და არავინ დამიწყებდა ძებნას. თავად ე. შევარდნაძის ჩამოსვლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ მქონია, რადგან ვიმედოვნებდი, რომ იგი სასარგებლო გავლენას მოახდენდა მოვლენათა განვითარებაზე, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ იმედი „ხავსიც“ შეიძლება იყოს და „კოშკიც, ნაგები კირითა“.

ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ე.შევარდნაძის მიერ აშენებული სახელმწიფოს მართვის სტრუქტურა ინარჩუნებს ძველ, საბჭოთა დაპირისპირებას, „სახელმწიფო — ხალხი“. შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ეს დროებითი მოვლენაა და „წესრიგის“ დასამყარებლად არის გამიზნული. შეცდომა აქაც იპარება: ჩვენ „წეს-რიგი“ არ გვჭირდება, ჩვენ გვჭირდება კანონებზე და არა რეპრესიებზე დამყარებული საზოგადოება. აპარატი, სადაც გაბატონებულია დანიშვნის წესი, ემსახურება უმაღლესი ხელისუფლების სიმტკიცეს და არ არის დაკავშირებული ხალხთან. მას არა აქვს ასეთი მიზანი. ამიტომ ყოველთვის იქნება შენარჩუნებული მანკიერი ოპოზიცია. მანკიერს იმიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციის ამ ნაწილში ვგულისხმობ ასევე იერარქიული სტრუქტურით დაინტერესებულ ფენას, რომელსაც ძალაუფლება სწადია, რადგან იგივე მიზნები აქვს. ახლა, წელიწადნახევრის მანძილზე იზოლირების გამო, ნაკლებად ვიცნობ დღევანდელ მოღვაწეებს, მაგრამ აშკარად მესმის ახალგაზრდების საიმედო, ჯანსაღი ხმები. მალე მათი დრო მოვა და, თუ ამასობაში ახლანდელ იერარქიულ-პოლიციურ სახელმწიფოში არ გაირყვნენ, შეძლებენ საქმისათვის სწორი საფუძვლის ჩაყრას.

რაც შეეხება ძველებს, ისინი ისეთივენი დარჩნენ, როგორებიც იყვნენ საბჭოეთის დროს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენი თაობის ხალხი საბჭოეთს არის მიჩვეული. იგი ხელისუფლებას არ ირჩევს, პირიქით, მას ირჩევენ „ხალხის მსახურები“ და ისიც, საბჭოური ფსიქოლოგიით, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ თვითონ არავინ არ არის, არაფერს არ ეკითხებიან და ამიტომ ეს ყველაფერი მას არ ეხება, სანაგვეში ქაქვას არჩევს, მაგრამ არ მოითხოვს თავის კუთვნილს. ეს იმიტომ ხდება, რომ მან არ იცის, რომ შეიძლება რამე ეკუთვნოდეს სამარადისოდ, რომ ხვალ ალბათ მთავრობა არ ჩამოუვლის და უკან არ წაართმევს „ნაბოძებს“. ჩემი იდეალია ქართველი მოქალაქე, ინდივიდუმი, ოჯახი — მესაკუთრე, შესაბამისი კანონმდებლობით და მაღალზნეობრივი სამოქალაქო მოვალეობით. კაცი, რომელიც ირჩევს, ხნავს, აბანდებს, იგებს, მოგზაურობს და ქვეყანას მართავს.

დღევანდელი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამას უცებ ვერც მიაღწევდა, კიდევაც რომ მოეწადინებინა, მაგრამ, საქმე ისაა, მას ეს ხაზი არ უჭირავს, მას ეს არც უნდა. ეს ჯერ ისევ „ამხანაგოსა“ და „პირველის“ ქვეყანაა და მის გარდასაქმნელად არაფერი, ან მოჩვენებით თუ კეთდება რამე. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ გარდუვალად მივალთ აშკარა დესპოტამდე, რადგან დემოკრატიის პრინციპები თამაშსა და ნიღბად ქცევას ვერ ეთვისებიან. კი შეიძლება მას უწოდო ფარშევანგი, მაგრამ სინამდვილეში იგი უკვე „უდავია“.

პირადად ჩემთვის მთელი უბედურება ისაა, რომ არც მესმის ამის საჭიროება. მე კანონმა დამიცვას, და შენ, ვინც გინდა, ის იყავი, რაც გინდა, ის დაწერე და რა აზრიც ჩათვალო საქმიანად, ის გამოთქვი. არ ვიცი, ამ ვითარების წინააღმდეგ ბრძოლა, ასე რომ ახასიათებს ზოგიერთს, ბიოლოგიური ნიშანია, თუ დაბალი სოციალიზაციისა.

ჩვენ ჩვენი უნდა ვეძიოთ. ჩვენი ხელისუფლება ხალხთან უნდა მივიდეს, საკუთარ საჭიროებებში გაერკვეს, შექმნას ადამიანი — მოქალაქე და მაშინ მის საქმიანობას დღევანდელობა დალოცავს, ხოლო ხვალინდელი დღე კურთხევით მოიხსენიებს. ესაა არჩევანი, რომელსაც ვერავინ ვერ აცდება.

გაგრძელება იქნება



## მკითხველთა წერილებიდან



გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ჯალათების მიერ დაჩეხილი მამულიშვილების სახელთა უკვდავსაყოფად „მთავრობის სახლის“ წინ, რომლის თავზეც დღემდე „კიაფობს“ „წითელი ცემენტით“ ჩადუღაბებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი და საბჭოური გერბის ჩუქურთმები, გამიზნულია მემორიალის აღმართვა, რომელსაც, მე-8 წელი დაიწყო — მავანის ხელი აპროექტებს, ძერწავს და... აღარ დააყენა საშველი. ჭრილობებს ხომ არ გვიშუშებენ ისევ..? შესაძლოა მომავალში ადგილის პრობლემაზეც დაწესდეს კონკურსი! ანდა არ შეიძლება ეროვნული მთავრობის შენობის თავზე სამფეროვან დროშასთან ერთად ანაქრონიზმად ქცეულ სსრკ-ს გერბის ნაცვლად ეროვნული გერბი ანათებდეს ქართველი კაცის იმედად და საამაყოდ?!

იმედი მაქვს, თქვენი გაზეთის საშუალებით მაინც გავახსენებთ მოვალეობას ვისაც ეს ეხება და ცრემლდადინებულ ქვას მემორიალად აქცევს!

გულნატკენი ქართველის სახელით
გურამ წერეთელი

## პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

### ჯანო ჯანელიძე

# სულის ნამსხვრევები

ეძღვნება ჯამბულ წურწუმიას ხსოვნას, რომელიც 1993 წლის 18 სექტემბერს გმირულად დაიღუპა მდინარე კოდორთან გამართულ ბრძოლებში. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი.

მე მონის მონობას სიკვდილი მიჯობს, —
თქვი და თვალი უყავ მეზობლის ცირას,
მაინც რამხელა გული გქონდა, ბიჭო,
და რა პატარა ტყვიამ გაგიცივა?!
სიზმრად ვხედავ სისხლში მცურავ ვარჩეს
და სიკვდილის არც მე შემრჩა რიდი,
მაღალ მკერდზე ციცქნა წერტილს ვამჩნევ
და აფსუა იკრიჭება ფლიდი.
ცრემლით წერდი, სისხლით წერდი, ჯამბულ,
ბედის ბილიკს ვერ უქციე გვერდი,
ძაღლის ყმუილს ყურს მივუგდებ გაბმულს,
და მეც, ვაი, ძაღლის შემშურს ბედი.
მამაშენი სტრიქონ-სტრიქონ ეძებს
შენი სულის ნამსხვრევსა და სუნთქვას,
შენი სახის ჯადო, ლიბო, ეშხი
იმ ქარცეცხლში უცბად ჩაითუთქა.
მოაგელვებ კოცონისფერ მერანს
და მერანი, ვხედავ, ცეცხლმა შთანთქა
და კოდორი მერანივით ელავს
და ჩონგური მარცვალს იმ შენს ნათქვამს:
„ისევ ზეიმობს სულში სატანა,
ტყვია მოკეთის ზურგში, განა მტრის?!
რისი ერთობა,
რის გატანა?!
მხოლოდ ფლიდობა, მხოლოდ ღალატი!..
ასე დავდივართ, დავჩიჩახაკობთ,
ერთმანეთს შევყურებთ, ერთმანეთს შევტირით,
საქმე არაფერი, მხოლოდ ვლაპარაკობთ,
სილაჩრეს ჩვენსას არ ესმის წერტილი.
რა შურისძიება, რის შურისძიება?!
შეხვედრა და ბაასი იქ, სადაც ჯერ არს,
რამდენჯერ გაგვყიდეს ამ რუსის ძიებმა
და მაინც ამ ძიების გვჯერა“...
მე მონის მონობას სიკვდილი მიჯობს, —
თქვი და ცად ახედე ვარსკვლავებს მცინართ,
მაინც რა დიდი გული გქონდა, ბიჭო,
და რა პატარა ტყვიამ გაგიცივა?!

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება



არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

# ხანდახან მეცნიერებიც იცინიან

## შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ცხოვრებიდან

**ინსტიტუტის** დირექტორი გიორგი ლეონიძე სამსახურში უფრო მეტად დღის მეორე ნახევარში მოდიოდა, ზოგჯერ — მაშინ, როცა თანამშრომლები შინ მიდიოდნენ ან წასული იყვნენ. სამაგიეროდ, თავის კაბინეტში გვიან საღამომდე რჩებოდა და მუშაობდა.

ერთ დღეს, ეს იყო 1960 წლის ბოლოს ან მომდევნო წლის დასაწყისში, ბატონმა გიორგიმ ტელეფონით გვაცნობა: არ წახვიდეთ, მოვდივარ და ახალ მოთხრობას გაგაცნობთო.

ეს ის დროა, დიდი პოეტი თავის განთქმულ მოთხრობების ციკლზე, „ნატვრის ხეზე", მუშაობს.

დაავგვიანდა. შეწუხდნენ მშიერი თანამშრომლები. რომ მოვიდა, წაგვიკითხა ბრწყინვალე მოთხრობა „ლვინჯუა". გიორგი ლეონიძის მთელი შემოქმედება, მხატვრული და სამეცნიეროც, საოცრად მდიდარი, ძარღვიანი, მონოლითური ენით არის შესრულებული და ეს მოთხრობა ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩევა. სიტყვის ჯავარითა და ფერადოვნებით განსაკუთრებით გვხიბლავს სუფრის აღწერა.

მონუსხულივით ვუსმენთ მწერალს და როცა ნათლისღების სუფრის აღწერას შეუდგა, ამბერკი გაჩეჩილაძემ წამოიძახა:

— აღარ შეგვიძლია, ბატონო გიორგი, ახლა ჩვენ ამ მენიუს ვერ გავუძლებთო!

* * *

**მირიან** აბულაძე გვიამბობს:

გიორგი ლეონიძის სამსახურეობრივი მანქანით ინსტიტუტში მოვდივართ. უცებ წინ მჯდომი გიორგი მოგვიბრუნდა და გვეკითხება:

— გინდათ, კუჭის ჭიხვინი მოგასმენინოთ?

პასუხისათვის არ დაუცდია, მძღოლს მანქანას ტროლეიბუსის გაჩერებასთან შორიახლო მდგომი შოთა ძიძიგურის წინ აჩერებინებს.

— შოთა, კარგ სუფრაზე მივდივართ, გეპატიჟებით, წამოდი! — არც მისალმებია, ისე მიმართავს შოთას.

— აუ, ლექციაზე მივდივარ, არაფრით შემიძლია! — იუარა შოთამ.

— კარგი, რა გიყო! — თქვა და მძღოლს ანიშნა, წავიდეთო.

ცოტა რომ გამოვშორდით, გიორგი გაღიმებული მოგვიბრუნდა:

— გაიგეთ, კუჭის ჭიხვინი?!

* * *

**ამბერკი** გაჩეჩილაძეს საშინლად აფრთხობდა „13" რიცხვი. ამბობენ: როცა სასტუმროში მხოლოდ მე-13 ნომერი იყო თავისუფალი, ამბერკი შიგ არ შევიდა და ღამის გათევა ფოიეში ამჯობინაო. ჩემი ყურით მომისმენია, ის კოტე მარჯანიშვილის დაღუპვას მე-13 ვაგონით მის მგზავრობას უკავშირებდა. ამავე მიზეზით ხსნიდა „აპოლონ 13" რაკეტის წარუმატებლობასაც.

ერთხელ, მამია დუდუჩავა ვერის ბაზარში ქათმის საყიდლად შევიდა. გლეხმა თავისი ქათმები 13 მანეთად დააფასა.

— დამიკელიო, — სთხოვა მამიამ.

— დაგიკლოთ კი არა, ახლა ერთმა ნასწავლმა, „ცილინდრიანმა" კაცმა, 13 მანეთად რომ დავუფასე, 14 მანეთი მომცაო.

მამიამ გლეხს უფრო დაწვრილებით გამოჰკითხა და მიხვდა, რომ ეს „ნასწავლი კაცი" ამბერკი გაჩეჩილაძე იქნებოდა.

მეორე დღეს ბატონ მამიასა და ბატონ ამბერკის შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— გუშინ ვერის ბაზარში ქათამი იყიდე?

— კი, ვიყიდე.

— რა მიეცი?

— 13 მანეთი დამიფასა, არ დამიკლო და, რა მექნა, 14 მივეცით.




* * *

**ხანძარმა** ინსტიტუტის ბიბლიოთეკა დააზიანა. ხანძრიდან რამდენიმე დღის შემდეგ მამია დუდუჩავა ამბერკი გაჩეჩილაძეს ეუბნება:

— ყოჩაღ, ამბერკი, თქვენმა შრომებმა ინსტიტუტი მთლიან დაწვას გადაარჩინაო.

ამბერკის თვალებში კმაყოფილების სხივმა გაუელვა. მამია აგრძელებს:

— ცეცხლი, თქვენს წიგნებთან რომ მისულა, აშიშინებულა და ჩამქრალაო.

ახლა კი მიხვდა ბატონი ამბერკი ბატონ მამიას ეშმაკობას და სასწრაფოდ უპასუხა:

— მე კი ასე მითხრეს, ცეცხლი თქვენს წიგნებში გარეულმა წყალმა შეაჩერაო.

* * *

**ბენო** დობორჯგინიძე გულის შეტევის გამო საავადმყოფოში იწვა. მის სანახავად მივიდნენ ვახტანგ ჭელიძე და გივი ლომიძე. ბენოს იმ ხანად ერთ მეცნიერთან მწვავე პოლემიკა ჰქონდა. აქაოდა ავადმყოფს ესიამოვნებაო, მოსულებმა მას ამბავი მოუტანეს, რომ ამ მეცნიერის წიგნი ბაქოში, საკავშირო იდეოლოგიურ თათბირზე მაგრად გაუკრიტიკებიათ, ენაც კი დაუწუნებიათო.

— ეს წიგნი, ბიჭო, პეტრე შარიას თარგმანია. პეტრემ რუსული ენა კი იცის, მაგრამ მაგის ნააზრევს, პეტრე კი არა, პეტრიწი ვერ თარგმნის! — განმარტავს მისუსტებული ბენო.

* * *

**გიორგი** ლეონიძეს თავისი სამსახურეობრივი მანქანით წყნეთიდან თბილისში ცეკას მესამე მდივანი მოჰყავს. გზაში საუბრისას სტუმარი რაღაც საკითხზე გიორგის არ დაეთანხმა. მძღოლი ჯიმშერი თავს უკან აბრუნებს და მას ეუბნება:

— შენ ახლა ამას ასწავლი? — და ხელით გიორგი ლეონიძეზე ანიშნებს.

* * *

**ბენო** დობორჯგინიძე ნოდარ ალანიასთან ერთად ნაძალადევის ბაზარში ღორის საყიდლად შევიდა. ახალგაზრდა კახელ კაცს უცნაური, ხბოსხელა ღორი გამოუყვანია, რომელსაც ხვეული ჯაგარი აქვს.

— რა ღირს, ბიჭო, ეს ნაზარდა?

— გურულად მოუქცია ბენომ.

ბიჭმა გაკვირვებით ახედა მუშტარს. ზედ ეტყობა, რომ არ იცის, „ნაზარდა" გურულად ბურვაკს ჰქვია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ფასს მაინც ამბობს:

— 800 მანეთი.

— რა ამბავია, „ზავივკაში" მახდევინებ ამდენს? — ისევ იმავე სტილით ევაჭრება ბატონი ბენო.

* * *

**ნინო** (ციალა) მახათაძის სადოქტორო დისერტაციის ბანკეტზე თამადად მისი მაზლი, პროფესიით გეოლოგი, ცნობილი პიროვნება გივი ბააკაშვილი იყო. როცა ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს სადღეგრძელოს რიგი დადგა, მან განაცხადა: ცალკე მინდა ვადღეგრძელო საბჭოს ის წევრები, რომლებმაც დისერტანტს დადებითი ხმა მისცეს და ცალკე — ის ორი წევრი, რომლებმაც „შავი ჩაუგდესო".

— რომ არ ვიცით, ვინ მისცა შავი?

— იკითხა ვიღაცამ.

— როგორ, რომ ვადღეგრძელებთ, ფეხზე არ წარმოდგებიან და მადლობას არ გადაიხდიან? — გაიკვირვა თამადამ.

ქართული მწერლობის სადღეგრძელოს დროს ბატონმა გივიმ მოგვმართა:

— მეცნიერ-ლიტერატორები ბრძანდებით, ჩემმა მეგობარმა საბავშვო ლექსი დაწერა, არ უბეჭდავენ, ერთი ამიხსენით, რატომ იწუნებენო და ყალბი პათეტიკით წარმოსთქვა:

„ძია ნიკო, ძია ნიკო!" — იძახოდა
მერი.
გამოვარდა ძია ნიკო: „დედიშენის
მზემან,
თუ ცელქობას არ მოიშლი, არ
აგცდება ცემა!"



* * *

**ერთ** წელიწადს ლიტერატურის ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმღებ საგამოცდო კომისიაში შეგვიყვანეს. როდესაც ტრადიციისამებრ კომისიის თავმჯდომარემ 31 ივლისს შეგვკრიბა და საგამოცდო პირობებს გვაცნობდა, გვაუწყა, რომ აბიტურიენტებს საწერად ძალიან მარტივი თემები ეძლევა, რუსეთში ასე არ არის და ჩვენც მათ უნდა მივბაძოთო. მაგალითად, რატომ არ შეიძლება, თავისუფალი თემა იყოს მუსიკის სფეროდანო და დაასახელა რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც მე ყურმოკვრით თუ გამეგონა.

— სწორია!.. კარგია! — ისმოდა აქეთ-იქიდან. მე კი შევიშმუშნე.

— რა, თქვენ არ მეთანხმებით? — მომმართა თავმჯდომარემ.

— რატომ არ გეთანხმებით, ძალიან კარგია, — მივუგე მე, — ოღონდ იმაზე ვფიქრობ, რა უნდა ვქნა, ამგვარი თემა რომ შემხვდეს გასასწორებლად-მეთქი.

* * *

**1979** წელს ინსტიტუტის სწავლულ მდივნად დამნიშნეს. დღე არ გავიდოდა, რომ რაღაც საქმეზე აკადემიის პრეზიდიუმში არ ვყოფილიყავი მისასვლელი. ერთხელაც, მივდივარ და ვხედავ: პრეზიდიუმის თანამშრომლებს გრძელი რიგი გაუმართავთ და იმპორტულ ხელის საბან საპნებს ყიდულობენ. იმ ხანად, რატომღაც, საქართველოში, იმპორტულის გარდა, მოსკოვისა და ლენინგრადის კარგი საპნებიც გაწყდა და მაღაზიებს აზერბაიჯანული და სომხური ნაწარმი შემორჩა, რომლებსაც მაშინ არ ვკადრულობდით. საპონს ჰყიდის ჩემი მეგობარი იური კლდიაშვილი, სიებით დგანან კანცელარიის გამგე და საოქმო განყოფილების უფროსი, კეთილი და სათნო მანდილოსნები.

— მომცემ-მეთქი? — ხელით ვანიშნებ იურის.



— დაიცადე და მოგცემო. — ხელით მანიშნებს ისიც.

ვიცდი, მაგრამ სანამდი შეიძლება ცდა, რიგი არ კლებულობს, პრეზიდიუმის თანამშრომლები თანდათანობით მოდიან და ემატებიან.

— მე საპონი არ მეკუთვნის? — მივმართავ კანცელარიის გამგეს. მან ისე შემომხედა, მაგრძნობინა: საიდან უნდა გეკუთვნოდეს, რომ ხედავ, პრეზიდიუმის თანამშრომლებისათვის არის მოტანილი და არა ინსტიტუტებისათვისო.

ცოტა ხნის შემდეგ იმავე კითხვით მივმართე საოქმო განყოფილების უფროსს. ისიც ხმას არ იღებს და თვალებით მეუბნება უარს.

— მე თქვენზე ვზრუნავ, აქ ხშირად მიწევს მოსვლა და თქვენთვის ხელის ჩამორთმევა, თორემ ამდენს როგორ შეგაწუხებდით-მეთქი! — ხმამაღლა ვამბობ მე.

ხუმრობამ გასჭრა. თუ პრეზიდიუმის თანამშრომლებს 25-25 ცალ საპონს აძლევდნენ, მე 20 მომცეს.

**შეკრიბა ბორის დარჩიამ**

# პაციენტი შეიძლება ვაცეკვოთ კიდეც...

„სასწაულმოქმედი მკურნალი", „ყოვლისშემძლე ექიმი, რომელიც ერთი შეხედვით სვამს დიაგნოზს", — ამდაგვარ სიტყვებს მრავლად გაიგონებთ დღეს სხვადასხვა ექსტრასენსების, ჰომეოპათების თუ ნატუროპათების მიმართ. მაგრამ ცოლ-ქმარი, რომელთაც დღეს შეხვდებით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, არც სასწაულმოქმედები არიან და არც წინასწარმეტყველნი, თუმცა... საოცრებებს კი ახდენენ თავიანთ პაციენტებთან. ილია მოშიაშვილი ბევრს ახსოვს ჯერ კიდევ 9 აპრილის დღეებიდან, როცა ის მოსკოვიდან ჩამოვიდა და ყოველგვარი საზღაურის გარეშე მკურნალობდა მოწამლულებს (და არა მარტო მათ). თბილისშივე გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე ფიქრია გოგაშვილი. დღეს ისინი ისრაელში ცხოვრობენ, სადაც კერძო კლინიკა აქვთ გახსნილი. ჩვენთან კი წელიწადში რამოდენიმე თვით ჩამოდიან და ამ ხნის მანძილზე ყოველგვარი მედიკამენტების გარეშე მკურნალობენ ბავშვთა (და არა მხოლოდ ბავშვთა) სხვადასხვა დაავადებებს, რომლებიც ოფიციალური მედიცინის, ასე ვთქვათ, მეთოდებით, ხშირ შემთხვევაში განუკურნებლად ითვლება. ახვლედიანის №17-ში დილიდან გვიან საღამომდე უწყვეტად დაიარებიან სხვადასხვა სენით დაავადებულნი და პირველივე ერთსაათიანი პროცედურის შემდეგ თითქოს ერთბაშად გარდასახულნი გამოდიან...



ჩვენ შევხვდით ბატონ ილიას და ქალბატონ ფიქრიას და გავესაუბრეთ.

**— დღეს არსებობს მკურნალთა კატეგორია, რომელიც აცხადებს, რომ ყველანაირ დაავადებას კურნავს გარკვეული მეთოდით. თქვენ რას იტყოდით...**

ფიქრია გოგაშვილი: ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს არ ვმკურნალობთ. ამის თქმა არასერიოზულობა იქნებოდა. გვყავს ავადმყოფთა გარკვეული კატეგორია. ყველას არც ვიღებთ. აი, მაგალითად, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს, სიმსივნიანებს. ამასთანავე, ჩვენ ვაწარმოებთ ინდივიდუალურ მიღებას. თითოეულ პაციენტს ვუთმობთ ზუსტად 1 საათს. აქ შედის პაციენტთან გასაუბრება, დიაგნოზის დასმა, იმ პროცედურის ჩატარება, რაც საჭიროა. ყველაფერს ხელით ვეხებით და ვეჯაჯგურებით კარგა მაგრა, რომ იტყვიან. ძირითადად ვმკურნალობთ ნერვულ დაავადებებს, ხერხემლის, კისრის, სახსრების სხვადასხვა ანომალიებს, ძვლებს ვსვამთ, ვმკურნალობთ ბრონქიტებს, ასთმებს. ჩვენს მეთოდს მოზრდილებშიც კარგი შედეგები მოაქვს.

**— ე.ი. თქვენ მხოლოდ ბავშვებთან არ მუშაობთ...**

— ძირითადად ბავშვებთან, რადგან მიგვაჩნია, რომ ბავშვების გამოჯანმრთელება ყველაზე აუცილებელი საქმეა. დღესდღეობით ჩვენში ბავშვთა 90 % დაავადებულია და შეიძლება ეს არც კი იციან მათმა მშობლებმა, რადგან არსებობს დაავადების ფარული ფორმები. ხშირად დიაგნოზის მიკვლევაც ჭირს, ზოგჯერ თანამედროვე აპარატურაც კი ვერ ართმევს თავს ამ პროცესს. ჩვენ კი გვაქვს მკურნალობის კომპლექსური მეთოდი, რომელიც ძალიან კარგ ეფექტებს იძლევა.

**— კერძოდ, რა მეთოდები შედის თქვენს კომპლექსურ კურსში?**

— ეს არის ტიბეტური, ჩინური, იაპონური, ისრაელის ხალხური მედიცინა, იოგა, წერტილოვანი მასაჟი, ბალახეული და ა.შ. განსაკუთრებით [illegible]. თუ საჭიროა, პაციენტი შეიძლება ვაცეკვოთ კიდეც...

**— მედიკამენტებს თუ იყენებთ?**

— არა. კატეგორიულად არ ვიყენებთ ქიმიურ პრეპარატებს. აი, აქ რასაც ხედავთ, არის მხოლოდ მინერალები, ჩინური ზეთები, ჩინური მალამოები, ვიტამინები, უნიკალური მარილები მკვდარი ზღვიდან, ტალახები... ჩვენთან ყველაფერი ერთჯერადია. თუ, მაგალითად, პაციენტს მაღალი სიცხე აქვს, აი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ისრაელიდან ჩამოტანილი წამალი, რომელიც ალბათ მკვდარსაც კი გააცოცხლებს.

**— დიაგნოზს რა მეთოდით სვამთ? თქვენ ხომ არ იყენებთ არანაირ ტექნიკას...**

ილია მოშიაშვილი: ჩვენთან მოსული ადამიანი ძირითადად ჩუმად არის. ნაწილს მისი დაავადებებიდან ვხედავთ ვიზუალურად, შეთვალიერებით. თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდება, მერე ხელით ვეხებით, ვსინჯავთ ხერხემალს, თითოეულ მალას, სახსარს... და ვუსვამთ საბოლოო დიაგნოზს. ერთხელ, მახსოვს, თბილისში რომ ვიყავი ამ რამდენიმე წლის წინ, ერთ გვიან ღამეს თავს დამადგნენ სამხედროფორმიანები... ეს ის პერიოდია, როცა სამაჩაბლოში ომი მიმდინარეობდა. მე ვუთხარი, რომ გვიან ღამე არავის არ ვმკურნალობ-მეთქი, მაგრამ მაინც წამიყვანეს. ასე აღმოვჩნდი ბატონ ნოდარ ნათაძის ბინაში. იგი იწვა. წელი ჰქონდა გაკავებული (სხვათა შორის, მე მას ადრე უკვე ვიცნობდი, თბილისის ინტელიგენციამ შეხვედრა მოუწყო გერმანელ პროფესორებს, მათ შორის მეც და სწორედ ამ შეხვედრაზე გავიცანი). ხვალვე უნდა წავიდე ცხინვალშიო და ამაღამ უნდა შევძლო ფეხზე წამოდგომაო. მე ვუთხარი, ერთ ღამეში ვერა, მაგრამ სამ [illegible] ეში ისე გამოგაკეთებთ, რომ თუ გნ[illegible]ავთ ველოსიპედით შეძლებთ ცხინვალში ასვლას-მეთქი. იქვე ისიც ვუთხარი, რომ მას არაფერი სჭირდა სერიოზული, აი, მისი მეუღლის ჯანმრთელობა კი სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას ითხოვდა. მართლაც, ჩემი ეს დიაგნოზი რამდენიმე ხანში დადასტურდა. ასე რომ, ჩვენი ავადმყოფობის აღმოჩენის [illegible] გზები არსებობს, ისევე [illegible] მკურნალობის. წარმოიდგინეთ, [illegible] წამალი ერთდროულად [illegible] წამალიც და საწამლავიც. [illegible] შველის, მეორეს — არა. [illegible] შველის, ხვალ — არა. ამიტომაც [illegible] ქიმიური პრეპარატები [illegible] ჩვენი კომპლექსური მეთოდი. [illegible] წინაპრები ღმერთთან და ბუნებასთან იყვნენ ძალიან ახლოს, სხეულს [illegible] მკურნალობდნენ. მაშინ [illegible] ფარმაკოლოგია და ქიმიური ქარხნები. ამიტომ ბუნებრივ საშუალებებს იყენებდნენ. საუკუნეების მანძილზე ადამიანი დაშორდა ღმერთს, ბუნებას და მისი საქმე თანდათან ცუდად წავიდა. ჩვენთან, ისრაელში, ყოველი დილა, იქნება ეს რადიოგადაცემა თუ ტელევიზია, იწყება და მთავრდება ლოცვით. მე მიკვირს, ისეთი დიდი რელიგიური კულტურის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რატომ არ არის ასე.

ფიქრია გოგაშვილი: რაც შეეხება იმ საკითხს, რომ სამედიცინო წამალი ერთდროულად წამალიცაა და საწამლავიც, ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ როცა თბილისში დავამთავრე ასპირანტურა, როგორც წარჩინებული, რეკომენდაციით გამაგზავნეს ვაიცმანის სახელობის მეცნიერებათა ინსტიტუტში. ის თემა, რომელზეც მე ვმუშაობდი, აღმოჩნდა საერთო თემა, რომელზეც მ[illegible] მსოფლიოში მხოლოდ 4 ინსტიტუტი: აშშ-ს, იაპონიის, გერმანიის და ისრაელის. ეს თემა გახლავთ მედიკამენტების გასუფთავების პრობლემებზე. დღეს მე ამ ინსტიტუტის [illegible] ვარ [illegible] ერთადერთი ქართველი, ვინც აქ მუშაობს [illegible].

**— ხო, მართლაც, როგორ ცხოვრობთ ერთად ქრისტიანი ქართველი და ებრაელი?**

— იცით, მე მართლაც რომ ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი ვარ, მაგრამ გაგიჟებით შეყვარებული თორაზე და ებრაელებზე. ამასთან, მე იმდენად ბევრი რამ გავიგე ისრაელში, რომ სისულელედ მიმაჩნია განსხვავება გააკეთო ქრისტიანსა და ებრაელს შორის, ეს დილეტანტობად მიმაჩნია. რომის პაპიც კი აღიარებს, რომ ებრაელებმა და ქრისტიანებმა ერთად უნდა ვილოცოთო. აი, ახლახანს გაიხსნა ვატიკანის საელჩო ისრაელში. სწორედ ვატიკანის ელჩმა უნდა მოგვცეს რეკომენდაცია, რომ რომის პაპთან ჩავიდეთ მის სამკურნალოდ, ჩვენ თვითონ გვაქვს ამის სურვილი.

**— მე რამდენადაც ვიცი, თქვენი პატარა გოგონა თბილისში ცხოვრობს...**

— კი, ხატია ქართულ სკოლაში დადის. მაგრამ არდადეგებზე ჩამოდის ხოლმე თელავივში, ზაფხულს კი აგერ, ერთად ვატარებთ საქართველოში.

**— თბილისში რამდენ ხანს დარჩებით?**

— კიდევ ორიოდე კვირას გავჩერდებით და მერე მივდივართ. იქაც გველოდებიან პაციენტები, რომლებიც უკვე გვირეკავენ და წერილებს გვწერენ. მომავალ ზაფხულს ისევ ჩამოვალთ რამოდენიმე თვით.

ლელა კოდალაშვილი

---

# ნუკრი გერგედავა

**9 ივლისს 20** წელი შეგისრულდებოდა შვილო, ცრემლით გილოცავთ დაბადების დღეს.

**1993** წლის **30** სექტემბერს კინდღის ჩაის ფაბრიკის წინ შენი ტანადი სხეული მოულოდნელად მოსხიპა ჯალათის ტყვიამ. ჩვენს თვალწინ პირქვე დამხობილს ეს არ გაკმარა და ზურგზე ავტომატის ჯერი მოგაყოლა. მეც მომკალი-მეთქი, დავეჩოქე მტერს, მაგრამ არა, შენ ასე წამებაში უნდა ამოგხდეს სულიო. თურმე შენსა და ჩემს წამებას ფირზე იღებდნენ, შვილო, და ლენინგრადისა და მოსკოვის ტელევიზიით ქართველთა მიერ გაუბედურებულ აფხაზ დედად მასაღებდნენ.

მარად ჭაბუკად დარჩენილო ჩემო ვაჟკაცო, შენმა უბედურმა დედამ საკუთარი ხელებით გაგითხარე ცივი სამარე, ჭადრის ფოთლები დაგაფარე ნატყვიარ სახეზე, ხელზე და ისე ჩემი ხელებით ჩაგასვენე შვილო იმ ცივ სამარეში, რომელიც 20 სანტიმეტრი იყო ამოთხრილი. მიწა შენ თბილ და კიდევ ცოცხალ სხეულზე მოგაყარე, რომ ესეც არ აეკრძალათ და დაუმარხავი არ დამრჩენოდი. შენმა ცოცხალ-მკვდარმა დედამ შეაგროვა შენი ცხვირის ძვლები, რომლებიც ბალახებში იყო ჩაფლული, შევახვიე ცხვირსახოცის ნაჭერში და ჯიბეში ჩავიდე. მიჭირს შვილო, ზოგჯერ მინდა გავხსნა და მოგეფერო, მაგრამ არ შემიძლია.

სამი წელია, მარტოკა მძინავს ჩვენგან მიტოვებულ მიწაზე. ჩვენი ერთადერთი ნუგეში ისღაა, მშობლიური მიწა რომ გაყრია გულზე, ურომლისოდაც შენი ხასიათი რომ ვიცი, სიცოცხლე ერთ გრძელ ტანჯვად გადაგექცეოდა. ექვსი თვის შემდეგ ვარჩის სასაფლაოზე გადაგასვენეს ჩვენმა სოხუმელმა მეზობლებმა და შენმა ამხანაგებმა. დიდი მადლობა ამისათვის.

გვაპატიე, რომ ცოცხლები დავრჩით. არ დაიჯერო შვილო, თითქოს დრო ყველაფრის მკურნალი იყოს, შენს მერე სიცოცხლე ჩემთვის ტანჯვაა, რა ვიცოდი სამი წელიწადი უშენოდ გავძლებდი. ვწვალობ დედა, ვიტანჯები. ნუთუ შვილო, შენ არ გაქვს ცოტაოდენი ძალა, რომ შენთან წამიყვანო და გააჩერო შენი უბედური დედის გული. მე იქ მინდა სიკვდილი, სადაც შენ დარბოდი **17** წელი. შორიდან გეალერსებით შენი დატანჯული დედ-მამა, შენი ერთადერთი დაიკო ნანა და შენი ბებია.



იმედი მაქვს, შვილო, ჩვენ დავბრუნდებით, მაშინ ვიჯერებთ გულს შენთან სიახლოვით, მოგეფერებით, გულში ჩაგიკრავთ.

ჩვენო ერთადერთო ვაჟკაცო, გვაპატიე სიშორე. იძინე მშვიდად, ჩვენო საყვარელო ნუკრი! სასუფეველში გამყოფოს გამჩენმა, მსუბუქი იყოს შენთვის მრავალტანჯული ქართული მიწა.

დედა — ნორა კალანდია

მამა — ვალერი გერგედავა.

---



**თარაზულად:** 5. ის, ვისზეც პრუსიის მეფემ ფრიდრიხმა (XVIII საუკ.) თქვა: „დასავლეთში მე, აღმოსავლეთში — ის"; 7. ღეროთი შეერთებული თამასები კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად; 9. სითხის ან გაზის მიწისქვეშა წყაროს მოქცევა მილებში და ჭებში; 10. ძმის მაგიერი, ძმადნაფიცი; 12 ვირმა არ იცის, რა ხილია... 13. ქალაქი ფილიპინებზე; 15. სასადილო-დუქანი ძველად; 16. მთელი ცნების ან მარცვლის გამომხატველი ნიშანი; 18. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 20. ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს; 23. დანანების გამომხატველი შორისდებული; 26. ლითონის დასამუშავებელი იარაღი; 27. შარვლის ერთ-ერთი სახე; 28. საკვები პროდუქტი; 29. ვისიმე ან რისამე სატირული ან იუმორისტული გამოსახულება; 31. დაღუპვა, ბოლო, დასასრული; 33. ჰაერის შემადგენელია; 34. ცნობილი იტალიელი საესტრადო მომღერალი და კომპოზიტორი; 35. მწვანილი; 38. გრძნობის ორგანოს შეჩვევა გარემოსთან; 40. ძველი ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუაზღვისპირეთში; 42. „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი; 43. კინოფილმის ცალკე სცენა ან ეპიზოდი; 46. ყოჩაღ! (რუსულად); 47. დიდი კომპოზიტორი, მევიოლინე, დირიჟორი — „ვალსის მეფედ" წოდებული; 48. საკონდიტრო ნაწარმი; 49. ჩვილ ბავშვთა პირის ღრუს დაავადება.

**შვეულად:** 1. [illegible]სამსახურე სავაჭრო-სამრეწველო საწარმოში, სხვადასხვა კანტორაში ინგლისსა და ამერიკაში; 2. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე; 3. ვ.კიკაბიძის კინოროლი ფილმში „არ იდარდო!" 4. გაუთხოვარი ქალის ხსენება საფრანგეთში; 6. ძაფი ქირურგიული ოპერაციებისათვის; 8. წამწამთა ანთება; 11. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; 14. [illegible] სახელობა; 17. ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 21. ის, ვისაც არა სწამს ღმერთი; 22. დიდი წვიმა, თავსხმა; 23. აებნა, ესე იგი... 24. მცენარეულობის ტიპის — ველის სახელწოდება რუსეთში; 25. ფანერის სახე; 30. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივე-მეტოქეები; 32. სპილენძის, ბრინჯაოს და თითბრის ზედაპირზე გაჩენილი ჟანგის ფენა — ანტიკოროზიული და ნაკეთობისთვის დეკორატიული იერის მიმცემი; 36. ქალის სამკაულები (არა ძვირფასი ქვებისა და ლითონებისა); 37. სოფელი მცხეთის რაიონში; 39. ხეხილოვანი მცენარე; 41. განთავისუფლებული ყმა ძველ საქართველოში; 44. უზადო, უმწიკვლო; 45. თივის ასაღები იარაღი.

---


მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41